ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 29 ივლისი № 22 თბილისი

## შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

134. „კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების ღონისძიებათა თაობაზე" სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წ. 29 მაისს გამოცემული დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

**134. „კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების ღონისძიებათა თაობაზე“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წ. 29 მაისს გამოცემული დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.**

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 42, მუხ. 316) განხორციელების საფუძველზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

1939 წლის 1 იანვრიდან 1941 წლის 1 იანვრამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში 29,2%-ით გაიზარდა, ცხვრისა და თხის—51,2%-ით, ღორის—42,1%-ით, იმავე დროის განმავლობაში მეცხოველეობის ფერმების რიცხვი 2978-დან 9024 ფერმამდე გადიდდა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ ერთერთ მნიშვნელოვან ნაკლს, რაც საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას აფერხებს, წარმოადგენს საკვები ბაზის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

ბევრი რაიონის კოლმეურნეობანი, განსაკუთრებით თიანეთის, ქარელის, დუშეთის და ყაზბეგის რაიონების კოლმეურნეობანი, წლითიწლობით ვერ ასრულებენ თივის თიბვის გეგმებს.

მთელ რიგ რაიონებში ჭიანურდება თივის აღების ვადები, ადგილი აქვს თიბვის, მოფოცხვისა და დაზვინვის ვადების ერთმანეთისაგან დაშორებას და ამასთან ერთად უხეშად ირღვევა თივის შენახვის წესები, რაც საკვების ხარისხის გაუარესებას და მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევდა.

კოლმეურნეობათა უმრავლესობაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების (სიღნაღის, წითელწყაროს, საგარეჯოს, გურჯაანის, ყვარლის და სხვ.) კოლმეურნეობებში, საშემოდგომო და საგაზაფხულო თავთავიანი ჩალის და სიმინდის ჩალის დიდძალი რაოდენობა ყოველწლიურად აუღებელი რჩება იმ დროს, როდესაც ამ საკვების ნაკლებობას განვიცდით.

გორის, თბილისის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ხობისა და ზოგიერთი სხვა რაიონი წლითიწლობით ვერ ასრულებენ საკვების დასილოსების გეგმას. კოლმეურნეობათა უმრავლესობაში სილოსის ჩადების წესების დაუცველობის შედეგად (გვიან დასილოსება, მსხვილად დაჭრა, არასაკმარისი შემჭიდროება, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორი გადახურვა და სასილოსე მასის ამოღება) ადგილი აქვს დიდძალი სილო-სის დაკარგვას. ბევრ რაიონში სასილოსე ნაგებობებს სრულიად ვერ იყენებენ, ეს ნაგებობანი მოუვლელი რჩება და ინგრევა (საგარეჯოს, თეთრიწყაროს, ხობისა და სხვ. რაიონები).

ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ახალციხის, დუშეთის, ონისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში სისტემატიურად იშლება მდელოებისა და საძოვრების გაუმ-ჯობესების გეგმების შესრულება, ხოლო გურჯაანის, ყარაიას, წალკის, ამბრო-ლაურის და ზოგიერთი სხვა რაიონების კოლმეურნეობანი არავითარ ყურადღე-ბას არ აქცევენ ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც საძოვრებისა და სათიბების პროდუქციულობა კვლავ დაბალია.

ხშირად უგულვებელჰყოფენ საკვები კულტურების დაწესებულ აგროტექნი-კურ ღონისძიებებს, სწორად არ ხდება ნაკვეთების შერჩევა, ცუდად სწარმოებს ნიადაგის დამუშავება, შეუწყნარებლად ჭიანურდება ბალახებისა და ძირხვენა მცენარეების თესვა, არ ჩანს ნათესების მოვლა და დამუშავება, მოსავლის აღება დაგვიანებით ტარდება და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, საკვები კულტუ-რების ნათესები მოუვლელ მდგომარეობაშია.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია საკვები ბალახების სათესლეები. 1940 წელს ერთ ჰექტარზე იონჯის თესლის საშუალო მოსავალი, გეგმით გათვა-ლისწინებული 2—2,5 ცენტნერის ნაცვლად, ყარაიას რაიონის კოლმეურნეობებში შეადგენდა—0,3 ცენტნერს და საგარეჯოს რაიონში—0,1 ცენტნერს.

მიმდინარე წელსაც აქვს ადგილი მთელი რიგი რაიონულ საბჭოების აღმას-კომებსა და რაიონული სამიწათმოქმედო ორგანოების არასერიოზულ, ხოლო ზოგჯერ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას საკვები ბალახების მეთესლეობი-სადმი. ყარაიას, ბორჩალოს, ბაშკიჩეთის, წითელწყაროს, საგარეჯოს და ზო-გიერთ სხვა რაიონებს დღემდეც არ შეუსრულებიათ სათესლეების გამოყოფის გეგმა, ხოლო არსებული სათესლეები დატოვებულია მოუვლელად, დანაგვიანე-ბულია სარეველა ბალახებით, შეთხელებულია და დაავადებულია მავნებლებითა და სხვა სნეულებით.

„კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების ღონისძიე-ბათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წ. 29 მაისის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1941 წ. № 15, მუხ. 277) შესრულების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1941 წლიდან საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისათვის საკვებთა წლიური დაგროვების ოდენობა საშუალოდ ერთ სულ საქონელზე, რომელიც საკოლმეურნეო ფერმებს ჰყავთ (ცენტნერობით):

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | უხეში საკვები თივაზე გადაყვანით | | წვნიანი საკვები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ერთ ძროხაზე | ერთ მოზრდილ მსხვილფეხა რქოსან საქონელზე | ერთ სულ ცხვარზე და თხაზე | ძროხაზე | მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოზარდეულზე | დედა ღორზე |
| ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის წალკის და ბაშკიჩეთის . . . . . | 30 | 18 | 3,5 | 15 | 2 | 25 |
| ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ჰიათურის, ტყიბულის და საჩხერისა . . . . | 28 | 15 | 3,5 | 13 | 1,5 | 25 |
| ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, საგარეჯოს . . . . . . . . . . . | 28 | 15 | 1 | 13 | 1,5 | 25 |
| გურჯაანისა და ყვარლის . . . . . . . | 22 | 14 | 0,8 | 13 | 1,5 | 20 |
| სიღნაღის, წითელწყაროს, ბორჩალოს, ყარაიას . . . . . . . . . . . . . | 22 | 14 | 0,8 | 13 | 1,5 | 25 |
| თელავის, ლაგოდეხის, დუშეთის, თიანეთის და სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი . . | 28 | 15 | 0,8 | 13 | 1,5 | 20 |
| თეთრიწყაროს . . . . . . . . . . . . | 30 | 18 | 1 | 15 | 2 | 20 |
| ყაზბეგის . . . . . . . . . . . . . . | 28 | 15 | 0,8 | 10 | 1 | 20 |
| თბილისის . . . . . . . . . . . . . | 28 | 18 | 0,8 | 15 | 2 | 25 |
| ლუქსემბურგის და ორჯონიკიძის . . . | 28 | 15 | 0,8 | 13 | 1,5 | 25 |
| ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, მაიაკოვსკის, ხესტაფონის, აბაშის ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის. წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ფოთის . . . . . . . . . . . . . . | 28 | 14 | 0,8 | 10 | 1 | 25 |
| ონის, ამბროლაურის, ცაგერის და ქვემო-სვანეთის . . . . . . . . . . . . . | 30 | 15 | 3,5 | 13 | 1,5 | 20 |
| ჩხარის . . . . . . . . . . . . . . | 28 | 14 | 3,5 | 10 | 1 | 25 |
| ზემო-სვანეთის . . . . . . . . . | 30 | 15 | 3,5 | 10 | 1 | 20 |
| აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ . . . | 28 | 15 | 1 | 13 | 1,5 | 20 |

2. საკვების დაგროვების დადგენილი ნორმის საფუძველზე, დაწესდეს უხეში და წვნიანი საკვების რაიონობრივი გეგმები წონით გამოხატულებით (სახელმწიფოსათვის თივის სავალდებულო ჩაბარების; უხეში საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნისა და შრომა-დღეების მიხედვით კოლმეურნეებისათვის საკვების მიცემის გათვალისწინებით) შემდეგი ოდენობით (ათას ცენტნერობით):



| რ ა ი ო ნ ე ბ ი | უხეში საკვები თივაზე გადაყვანით | | | წვნიანი საკვები |
|---|---|---|---|---|
| | კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვისათვის, სახელმწიფო ჩაბარების უზრუნველსაყოფად და კოლმეურნეებისათვის მისაცემად შრომა-დღეების მიხედვით | სადაზღვევო მარაგი | ს უ ლ | |
| 1. ახალქალაქის . . . . . . . . . . . . . | 555,7 | 81 | 636,7 | 86,3 |
| 2. ბოგდანოვკის . . . . . . . . . . . . | 445,4 | 59 | 504,4 | 62,3 |
| 3. ახალციხის . . . . . . . . . . . . | 210,3 | 25 | 235,3 | 27,0 |
| 4. ადიგენის . . . . . . . . . . . . . | 208,6 | 24 | 227,9 | 20,0 |
| 5. ასპინძის . . . . . . . . . . . . . | 178,9 | 19 | 197,9 | 90,1 |
| 6. ხაშურის . . . . . . . . . . . . . | 179,8 | 18 | 197,8 | 22,9 |
| 7. ქარელის . . . . . . . . . . . . . | 198,3 | 20 | 218,3 | 34,3 |
| 8. გორის . . . . . . . . . . . . . . | 266,1 | 26 | 292,1 | 54,5 |
| 9. კასპის . . . . . . . . . . . . . . | 173,2 | 17 | 190,2 | 25,9 |
| 10. ბორჯომის . . . . . . . . . . . . | 185,5 | 26 | 211,5 | 35,5 |
| 11. გურჯაანის . . . . . . . . . . . . | 244,3 | 27 | 271,3 | 49,7 |
| 12. სიღნაღის . . . . . . . . . . . . | 274,0 | 40 | 314 | 53,6 |
| 13. წითელწყაროს . . . . . . . . . . | 365,0 | 45 | 410 | 56,4 |
| 14. თელავის . . . . . . . . . . . . | 308,9 | 45 | 353,9 | 55,0 |
| 15. ყვარელის . . . . . . . . . . . . | 152,3 | 14 | 166,3 | 39,9 |
| 16. ლაგოდეხის . . . . . . . . . . . | 165,6 | 23 | 188,6 | 27,1 |
| 17. თბილისის . . . . . . . . . . . . | 225,5 | 32 | 257,5 | 47,5 |
| 18. მცხეთის . . . . . . . . . . . . | 89,5 | 14 | 103,5 | 23,2 |
| 19. ყარაიას . . . . . . . . . . . . | 108,8 | 12 | 120,8 | 19,4 |
| 20. ბორჩალოს . . . . . . . . . . . . | 256,9 | 32 | 288,9 | 49,7 |
| 21. ლუქსემბურგის . . . . . . . . . . | 145,8 | 21 | 166,8 | 20,0 |
| 22. წალკის . . . . . . . . . . . . . | 405,8 | 45 | 450,8 | 58,9 |
| 23. დუშეთის . . . . . . . . . . . . | 270,1 | 40 | 310,1 | 56,7 |
| 24. თეთრიწყაროს . . . . . . . . . . | 338,8 | 48 | 386,9 | 60,8 |
| 25. საგარეჯოს . . . . . . . . . . . | 238,2 | 27 | 265,2 | 46,4 |
| 26. ბაშკიჩეთის . . . . . . . . . . . | 340,9 | 40 | 380,9 | 57,0 |
| 27. თიანეთის . . . . . . . . . . . . | 131,2 | 19 | 150,2 | 34,8 |
| 28. ყაზბეგის . . . . . . . . . . . . | 33,6 | 5 | 38,6 | 3,5 |
| 29. სამხრეთ ოსეთის ა/ო. . . . . . . | 608,8 | 90 | 696,8 | 104,1 |
| 30. წყალტუბოს . . . . . . . . . . . | 111,5 | 11 | 122,5 | 12,1 |
| 31. სამტრედიის . . . . . . . . . . . | 130,2 | 12 | 142,2 | 26,5 |
| 32. ქუთაისის . . . . . . . . . . . . | 150,6 | 15 | 160,6 | 15,7 |
| 33. წულუკიძის . . . . . . . . . . . | 105,6 | 10 | 115,6 | 18,2 |
| 34. ვანის . . . . . . . . . . . . . | 136,5 | 9 | 245,5 | 18,4 |
| 35. მაიაკოვსკის . . . . . . . . . . | 74,2 | 6 | 80,2 | 13,6 |
| 36. ხესტაფონის . . . . . . . . . . . | 109,6 | 9 | 118,6 | 17,6 |
| 37. ჩხარის . . . . . . . . . . . . . | 93,7 | 7 | 100,7 | 11,4 |
| 38. ჰიათურის . . . . . . . . . . . . | 127,6 | 10 | 137,6 | 13,4 |
| 39. საჩხერის . . . . . . . . . . . . | 162,6 | 13 | 175,9 | 19,1 |
| 40. ორჯონიკიძის . . . . . . . . . . | 156,9 | 12 | 168,6 | 22,4 |
| 41. ტყიბულის . . . . . . . . . . . . | 93,5 | 9 | 102,5 | 14,4 |
| 42. ო ნ ი ს . . . . . . . . . . . . | 180,4 | 20 | 200,4 | 24,8 |
| 43. ამბროლაურის . . . . . . . . . . | 238,3 | 28 | 258,3 | 19,4 |
| 44. ცაგერის . . . . . . . . . . . . | 165,3 | 19 | 184,3 | 15,5 |
| 45. ქვემო-სვანეთის . . . . . . . . . | 30,5 | 4 | 34,5 | 2,1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| რაიონები | უხეში საკვები თივაზე გადაყვანით | | | წვნიანი საკვები |
|---|---|---|---|---|
| | კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვისათვის, სახელმწიფო ჩაბარების უზრუნველსაყოფად და კოლმეურნეებისათვის მისაცემად შრომა-დღეების მიხედვით | სადაზღვევო მარაგი | ს უ ლ | |
| 46. აბაშის | 216,4 | 10 | 226,4 | 23,5 |
| 47. ცხაკაიას | 127,8 | 13 | 140,8 | 23,0 |
| 48. გეგეჭკორის | 143,0 | 14 | 157,0 | 18,6 |
| 49. ზუგდიდის | 113,3 | 11 | 124,3 | 19,6 |
| 50. ხობის | 98,0 | 9 | 107,0 | 18,2 |
| 51. წალენჯიხის | 78,5 | 6 | 84,5 | 18,8 |
| 52. ჩხოროწყუს | 82,7 | 7 | 89,7 | 16,5 |
| 53. მახარაძის | 122,9 | 10 | 132,9 | 21,3 |
| 54. ლანჩხუთის | 124,3 | 14 | 138,3 | 34,2 |
| 55. ჩოხატაურის | 67,8 | 6 | 72,8 | 12,4 |
| 56. ზემო სვანეთის | 1,4 | 0,15 | 1,6 | 0,1 |
| 57. ფოთის | 14,5 | 1,2 | 16,1 | 3,0 |
| 58. აფხაზეთის ასსრ | 639,0 | 64 | 703,0 | 111,5 |
| 59. აჭარის ასსრ | 276,9 | 27,0 | 303,9 | 46,4 |

ამას გარდა, სასურველად ჩაითვალოს კოლმეურნეობებში წვნიანი საკვების დაგროვების დროს გათვალისწინებულ იქნას ერთ ცხენზე 1—3 ცენტნერი, ცხვარზე—0,5—1 ცენტნერი ერთ სულზე, ფრინველზე—0,1 ცენტნერი და უხეში საკვები ღორებისათვის 3—6 ცენტნერის დედალორზე.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და რაიონულ საბჭოების აღმასკომებს, დაწესებული ნორმის შესაბამისად, დაუყოვნებლივ დაიყვანონ თითოეულ კოლმეურნეობამდე ყოველგვარი სახის საკვების გეგმა წონითი გამოხატულებით.

4. გაფრთხილება მიეცეს რაიონულ საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს და კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს, რომ ისინი პერსონალურად არიან პასუხისმგებელნი იმისათვის, რომ თავის დროზე შესრულდეს ყველა სახის საკვების აღების გეგმა დაწესებული ნორმების შესაბამისად.

### 1. სასილოსე საკვებთა შესახებ

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სილოსის ჩადების გეგმის განაწილება 1941 წლისათვის 130 ათასი ტონის რაოდენობით და 1942 წლისათვის 150 ათასი ტონის რაოდენობით, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**2.** იმისათვის, რომ გადიდდეს სასილოსე კულტურების მოსავლიანობა და მიღებულ იქნას 1941 წელს სასილოსე ნათესების თითო ჰექტარზე სულ მცირე 100—120 ცენტნერი მწვანე მასა, წინადადება მიეცეს ყველა რაიონულ საბჭოების აღმასკომს უზრუნველჰყონ ყველა კოლმეურნეობაში შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

ა) სთესონ სასილოსე კულტურები,—სიმინდი, ცერცველა-შვრიისა და ცერცველა-ქერის ნარევი, ბარდა-შვრიისა და ბარდა-ქერის ნარევი, მზესუმზირა, სუდანურა და სხვ. გულმოდგინედ მომზადებულ და განოყიერებულ მიწებზე, მეცხოველეობის ფერმებთან და სასილოსე ნაგებობებთან რაც შეიძლება უფრო ახლოს. სასილოსე კულტურები სთესონ ძირითადად მზრალად მოხნულ მიწებზე და მარცვლეული კულტურების თესვისათვის დაწესებულ ვადებში;

ბ) არ დაუშვან სასილოსე ნათესების დასარეველიანება, რისთვისაც ჩაატარონ მათი სულ მცირე ორჯერადი გაფხვიერება და სარეველებისაგან გამარგვლა;

გ) სარწყავ ნაკვეთებზე უზრუნველჰყონ სასილოსე ნათესების დროზე მორწყვა;

დ) არ დაუშვან სასილოსე ნათესების გამოყენება არადანიშნულებისამებრ; უზრუნველჰყონ სასილოსე კულტურების თავის დროზე აღება და დაუყოვნებლივ, მოჭრისთანავე, დასილოსება;

ე) 1941 წ. 1 ივლისამდე დაამთავრონ ყველა კოლმეურნეობაში სასილოსე კულტურების ნათესების მიმაგრება მუდმივ რგოლებზე.

**3.** დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს ფართოდ გამოიყენონ დასასილოსებლად გარეული ბალახები და სარეველები, აგრეთვე ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების, შაქრის ჭარხლისა და კარტოფილის ფოჩი. გარეული ბალახები და სარეველები აიღონ, როგორც წესი, ყვავილობის დასაწყისში, აგრეთვე მოაწყონ მათი განმეორებით მოთიბვა.

**4.** დაევალოს რაიონულ საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს და კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეებს, ფართოდ განუმარტონ ყველა კოლმეურნეს იმ კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების წესი, რომლებიც გარეულ ნედლეულს აგროვებენ და ასილოსებენ, რომ მათ ამ მუშაობისათვის მიეცემათ დამატებითი საზღაური კოლმეურნეობის მიერ დაწესებული გეგმის დამატებით ჩადებული სილოსის ერთი მესამედის რაოდენობით და უზრუნველჰყონ ამ ღონისძიების განუხრელად გატარება.

**5.** დასასილოსებლად და მწვანე საკვებად დამატებითი მასის მიღების მიზნით, დაწესდეს 1941 წლისათვის ნაწვერალი კულტურების (სიმინდი, მზესუმზირა, ცერცველა და სხვ.) თესვის გეგმა 1700 ჰექტარის რაოდენობით, რაც შემდეგნაირად განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონების მიხედვით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| რაიონები | საზაფხულო (სასილოსედ) | საშემოდგომო (ცერცველა და ცერცველის ნარევი მწვანე ბალახით გამოსაკვებად) |
|---|---|---|
| ქარელის . . . . . . . . . . . . . . | 30 | — |
| გორის . . . . . . . . . . . . . . . | 50 | — |
| კასპის . . . . . . . . . . . . . . . | 50 | — |
| გურჯაანის . . . . . . . . . . . . . | 160 | — |
| სიღნაღის . . . . . . . . . . . . . | 50 | — |
| წითელწყაროს . . . . . . . . . . . | 75 | — |
| თელავის . . . . . . . . . . . . . . | 250 | — |
| ყვარელის . . . . . . . . . . . . . | 50 | — |
| ლაგოდეხის . . . . . . . . . . . . | 50 | — |
| თბილისის . . . . . . . . . . . . . | 50 | — |
| მცხეთის . . . . . . . . . . . . . . | 100 | — |
| ყარაიას . . . . . . . . . . . . . . | 75 | — |
| ბორჩალოს . . . . . . . . . . . . . | 60 | — |
| ლუქსემბურგის . . . . . . . . . . | 90 | — |
| საგარეჯოს . . . . . . . . . . . . . | 60 | — |
| ქუთაისის . . . . . . . . . . . . . | — | 20 |
| წყალტუბოს . . . . . . . . . . . . | — | 10 |
| სამტრედიის . . . . . . . . . . . . | — | 20 |
| წულუკიძის . . . . . . . . . . . . | — | 30 |
| ვანის . . . . . . . . . . . . . . . | — | 10 |
| ხესტაფონის . . . . . . . . . . . . | — | 30 |
| ჩხარის . . . . . . . . . . . . . . | — | 20 |
| აბაშის . . . . . . . . . . . . . . | — | 40 |
| ცხაკაიას . . . . . . . . . . . . . | — | 40 |
| გეგეჭკორის . . . . . . . . . . . . | — | 20 |
| ზუგდიდის . . . . . . . . . . . . . | — | 35 |
| ხობის . . . . . . . . . . . . . . . | — | 15 |
| მახარაძის . . . . . . . . . . . . . | — | 30 |
| ლანჩხუთის . . . . . . . . . . . . | — | 30 |
| აფხაზეთის ასსრ . . . . . . . . . . | — | 100 |
| აჭარის ასსრ . . . . . . . . . . . . | — | 50 |

დაევალოს რაიონულ საბჭოების აღმასკომებს დაუყოვნებლივ დაიყვანონ აღნიშნული გეგმა კოლმეურნეობებამდე და უზრუნველჰყონ ნაწვერალი კულტურების თესვის დამთავრება არაუგვიანეს 1941 წ. 5 ივლისისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სილოსის უკეთ შენახვისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 1941 და 1942 წლების განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას დიდი ფერმების მქონე ყველა კოლმეურნეობაში და უპირველეს ყოვლისა რქიანი პირუტყვის ფერმებში სასილოსე კოშკების და ნახევარკოშკების აშენება.

7. დაწესდეს 1941 წლისათვის 45.060 ტონა ტევადობის არსებულ ნაგებობათა ახალი მშენებლობის და 84.940 ტონა ტევადობის არსებულ ნაგებობათა რემონტის გეგმა, რაც განაწილდეს რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 2.

8. სილოსის თავის დროზე ჩადების, უკეთ შენახვისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, წინადადება მიეცეს რაიონულ საბჭოების აღმასკომებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) დაუყოვნებლივ გაშალონ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა და რემონტი, ამასთან ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი სამშენებლო მასალიდან (ქვა, აგური თიხის ხსნარით, თიხის შელესილი წნული) უმარტივეს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის არსებული გამოცდილება;

ბ) უზრუნველჰყონ ნორმალური ტენიანობის სასილოსე მასის ჩადება, გულმოდგინედ დატკეპნონ, არ დაუშვან მსხვილად დაჭრა, სილოსის დაგვიანებით და არასწორად გადახურვა;

გ) 1941 წ. ივნისისა და ივლისის განმავლობაში მოაწყონ ყველა კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო ბრიგადების 3—4 დღიანი კურსები-თათბირები დასილოსების ტექნიკისა და სილოსის მოვლის საკითხებზე.

9. დაწესდეს საკვების დასასილოსებლად მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ შესასრულებელ სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 1941 წლისათვის 60 ათასი ტონის რაოდენობით, რაც განაწილდეს ცალკეული მტს-ების მიხედვით, თანახმად დანართისა № 3.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მტს-ების დირექტორებს, აგრეთვე რაიონულ საბჭოების აღმასკომებს 25 ივნისისათვის უზრუნველჰყონ მტს-ებსა და კოლმეურნეობებში არსებული სილოსსაჭრელი ყველა მანქანის რემონტის დამთავრება და მათი წესრიგში მოყვანა.

11. წინადადება მიეცეს მტს-ების დირექტორებს არაუგვიანეს 1941 წ. 1 ივლისისა დასდონ კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებანი საკვების დასილოსების შესახებ ამ დადგენილებით დაწესებული გეგმის ფარგლებში და უზრუნველჰყონ გეგმის შესრულება დანიშნულ ვადაში.

## 2. საკვები ძირხვენა მცენარეებისა და ბახჩეული კულტურების შესახებ

1. დაწესდეს 1942 წლისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში საკვებ ძირხვენა მცენარეთა და საკვებ ბახჩეულ კულტურათა თესვის გეგმა 4.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰექტარის რაოდენობით, რაც შემდეგნაირად განაწილდეს ავტონომიური რესპუბ-ლიკების, ოლქის და რაიონების მიხედვით:

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | | რ ა ი ო ნ ე ბ ი | |
|---|---|---|---|
| 1. ახალქალაქის | 150 | 29. საგარეჯოს | 220 |
| 2. ბოგდანოვკის | 125 | 30. ბაშკიჩეთის | 130 |
| 3. ახალციხის | 70 | 31. თიანეთის | 40 |
| 4. ადიგენის | 20 | 32. სამხრეთ ოსეთის ა/ო. | 120 |
| 5. ასპინძის | 30 | 33. ქუთაისის | 20 |
| 6. ხაშურის | 40 | 34. წყალტუბოს | 15 |
| 7. ქარელის | 30 | 35. სამტრედიის | 30 |
| 8. გორის | 70 | 36. წულუკიძის | 10 |
| 9. კასპის | 60 | 37. ვანის | 30 |
| 10. ბორჯომის | 40 | 38. მაიაკოვსკის | 30 |
| 11. გურჯაანის | 130 | 39. ზესტაფონის | 30 |
| 12. სიღნაღის | 160 | 40. ჩხარის | 20 |
| 13. წითელწყაროს | 180 | 41. ჭიათურის | 20 |
| 14. თელავის | 150 | 42. საჩხერის | 30 |
| 15. ყვარელის | 60 | 43. ორჯონიკიძის | 20 |
| 16. ლაგოდეხის | 80 | 44. ტყიბულის | 30 |
| 17. თბილისის | 200 | 45. ო ნ ი ს | 20 |
| 18. მცხეთის | 100 | 46. ამბროლაურის | 30 |
| 19. ყარაიას | 60 | 47. ცაგერის | 10 |
| 20. ბორჩალოს | 200 | 48. აბაშის | 30 |
| 21. ლუქსემბურგის | 50 | 49. ცხაკაიას | 40 |
| 22. წალკის | 200 | 50. მახარაძის | 20 |
| 23. დუშეთის | 60 | 51. ჩხოროწყუს | 20 |
| 24. თეთრიწყაროს | 110 | 52. ლანჩხუთის | 20 |
| 25. გეგეჭკორის | 20 | 53. ჩოხატაურის | 10 |
| 26. ზუგდიდის | 50 | 54. აფხაზეთის ასსრ | 450 |
| 27. ხობის | 20 | 55. აჭარის ასსრ | 80 |
| 28. წალენჯიხის | 10 | | |

დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და რაიონულ საბჭოების აღმასკომებს დაიყვანონ საკვების ძირხვენა მცენარეების და საკვები ბახჩეული კულტურების თესვის გეგმა კოლმეურნეობებამდე და მიაღწიონ იმას, რომ თითოეულ კოლმეურნეობას უკვე 1941 წელს ექნეს საკვები ძირხვენა მცენარეების ან საკვები ბახჩეული კულტურების ნათესები, მეცხოველეობის ფერმების სიდიდის მიხედვით.

2. წინადადება მიეცეს რაიონულ საბჭოების აღმასკომებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკვები ძირხვენა მცენარეებისა და ბახჩეული კულტურების ნათესების მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გულმოდგინედ გატარებას (თესვის თავის დროზე ჩატარება

ეროვნული

მზრალად მოხნულ და კარგად დამუშავებულ ნაკვეთებზე, ადგილობრივი სასუქის გამოყენება სულ ცოტა ორჯერადი გამარგვლა და სამჯერადი მწკრივთაშორის გაფხვიერება და სხვ.)

ბ) 1941 წ. 1 ივლისამდე უზრუნველჰყონ მუდმივი რგოლების გამოყოფა კოლმეურნეობებში საკვები ძირხვენა მცენარეებისა და საკვები ბახჩეული კულტურების მოსაყვანად;

გ) გამოჰყონ საკოლმეურნეო ფერმების მახლობლად 1—3 ჰექტარი მიწა საკვები ძირხვენა მცენარეების მოსაყვანად მეცხოველეობის ფერმებში მომუშავე კოლმეურნეთა ძალებით.

დ) რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს დაარიცხონ ამ კოლმეურნეებს პირუტყვის მოვლის საზღაურს გარდა, რასაც ისინი იღებენ, 3—4 შრომა-დღე თითო ტონა მოყვანილი ძირხვენა მცენარისათვის, აგრეთვე დამატებითი საზღაური დაწესებული მოსავლის გადამეტებით მიღებული საკვები ძირხვენა მცენარეებისათვის მოსავლიანობის დაწესებული გეგმის გადამეტებით მიღებული მოსავლის ერთი მესამედის რაოდენობით.

აძლიონ კოლმეურნეებს, მათი სურვილისამებრ, საკვები ძირხვენა მცენარეებისა და საკვები ბახჩეული კულტურების მოსავლიანობის გეგმების გადამეტებისათვის დამატებითი საზღაური ნატურით ან შეუცვალონ ისინი მეცხოველეობის პროდუქტებით ანუ ფულით კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დადგენილი წესით;

ე) იმისათვის, რომ კოლმეურნეობებში შეიქმნას საკვების ძირხვენა მცენარეებისა და საკვები ბახჩეული კულტურების საკუთარი სათესლე რესურსები, მოაწყონ თითოეულ კოლმეურნეობაში 1942 წლიდან სათესლე ნაკვეთები იმ ოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს კოლმეურნეობის მოთხოვნილებას თესლზე; ამ მიზნით მიმდინარე წლის შემოდგომაზე სათესლეებად გამოყოფილი ნაკვეთები მზრალად მოხნან 22—25 სანტიმეტრ სიღრმეზე და მიმდინარე წლის საფურაჟე ნათესებიდან შეარჩიონ 1942 წლის გაზაფხულზე გადასარგავად საუკეთესო ჯიშის საკვები ძირხვენა მცენარეთა სადედეები.

3. საუკეთესო ჯიშის საკვები ძირხვენა მცენარეებისა და საკვები ბახჩეული კულტურების თესლის სწრაფად გამრავლების მიზნით, მოეწყოს საკვები ჭარხლის სათესლე სანერგეები საგარეჯოს რაიონში 200 ჰექტარ ფართობზე და ახალციხის რაიონში 50 ჰექტარ ფართობზე.

წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს აღნიშნული რაიონების რაიონულ საბჭოების აღმასკომებთან ერთად, ერთი კვირის ვადაში შეარჩიოს კოლმეურნეობანი და დააწესონ, მათთვის საკვები ძირხვენა მცენარეებისა და საკვები ბახჩეული კულტურების ჯიშიანი მეთესლეობის გეგმა უახლოეს 2—3 წლისათვის და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. მიწა-ვაშლას დანერგვის მიზნით, დაწესდეს 1942 წლისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ამ კულტურის სათესლე ნათესების გეგმა 100 ჰექტარის რაოდენობით, აქედან; ახალქალაქის რაიონებში—5 ჰექტარი, გურჯაანის—10, სიღნაღის—5, თელავის—10, ყვარელის—5, საგარეჯოს—10, აბაშის—10, ცხაკაიას—5, ზუგდიდის—5, სამტრედიის—10, ვანის—5, სამხრეთოსეთის ავტონომიურ ოლქში—10, და აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში—10 ჰექტარი.

5. საკვები ძირხვენა მცენარეების მეთესლეობის დარგში მუშაობა დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საქპოსტჯიშთესლს.

6. დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ ბოსტნეული კულტურების ჯიშგამოცდას სახელმწიფო კომისიას საკვები ძირხვენა მცენარეების, საკვები ბახჩეული კულტურებისა და მიწა-ვაშლას ჯიშგამოცდა.

### 3. მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების მოსავლიანობის გადიდებისა და ნათესების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ

1. აყვანილ იქნას ნათესი ბალახების ფართობი 1942 წლისათვის: მრავალწლიანი ბალახებისა—20 ათას ჰექტარამდე და ერთწლიანი ბალახებისა—35 ათას ჰექტარამდე, რაც შემდეგნაირად განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკებისა, ოლქისა და რაიონების მიხედვით:

| რაიონები | მრავალწლიანი ბალახები | ერთწლიანი ბალახები | რაიონები | მრავალწლიანი ბალახები | ერთწლიანი ბალახები |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ახალქალაქის . . . . | 1000 | 7500 | 20. ბორჩალოს . . . | 1600 | 600 |
| 2. ბოგდანოვკის . . . . | 1400 | 3000 | 21. ლუქსემბურგის . . . | 400 | 200 |
| 3. ახალციხის . . . . . | 450 | 600 | 22. წალკის . . . . . . . . | 550 | 1100 |
| 4. ადიგენის . . . . . . | 400 | 200 | 23. დუშეთის . . . . . . | 250 | 300 |
| 5. ასპინძის . . . . . . | 125 | 800 | 24. თეთრიწყაროს . . . . | 400 | 800 |
| 6. ხაშურის . . . . . . | 400 | 250 | 25. საგარეჯოს . . . . . | 750 | 1400 |
| 7. ქარელის . . . . . . | 450 | 300 | 26. ბაშკიჩეთის . . . . . | 500 | 600 |
| 8. გორის . . . . . . . | 1000 | 300 | 27. თიანეთის . . . . . . | 200 | 410 |
| 9. კასპის . . . . . . . | 250 | 300 | 28. სამხრეთ-ოსეთის ა/ო. . | 700 | 750 |
| 10. ბორჯომის . . . . . | 250 | 70 | 29. ქუთაისის . . . . . . | 100 | 300 |
| 11. გურჯაანის . . . . . | 500 | 850 | 30. წყალტუბოს . . . . . | 75 | 300 |
| 12. სიღნაღის . . . . . . | 700 | 1100 | 31. სამტრედიის . . . . | 150 | 550 |
| 13. წითელწყაროს . . . . | 900 | 1500 | 32. წულუკიძის . . . . . | 75 | 300 |
| 14. თელავის . . . . . . | 600 | 750 | 33. ვანის . . . . . . . . | 75 | 350 |
| 15. ყვარლის . . . . . . | 400 | 450 | 34. მაიაკოვსკის . . . . . | 50 | 220 |
| 16. ლაგოდეხის . . . . . | 700 | 650 | 35. ზესტაფონის . . . . . | 75 | 150 |
| 17. თბილისის . . . . . | 600 | 1000 | 36. ჩხარის . . . . . . . | 75 | 200 |
| 18. მცხეთის . . . . . . | 450 | 500 | 37. ჭიათურის . . . . . . | 100 | 100 |
| 19. ყარაიას . . . . . . | 900 | — | 38. საჩხერის . . . . . . | 100 | 130 |

| რაიონები | მრავალწლიანი ბალახები | ერთწლიანი ბალახები | რაიონები | მრავალწლიანი ბალახები | ერთწლიანი ბალახები |
|---|---|---|---|---|---|
| 39. ორჯონიკიძის . . . . | 50 | 200 | 48. ხობის . . . . . . | 25 | 100 |
| 40. ტყიბულის . . . . | 25 | 70 | 49. წალენჯიხის . . . . | 25 | 250 |
| 41. ონის . . . . . . . . | 100 | — | 50. ჩხოროწყუს . . . . . | 25 | 300 |
| 42. ამბროლაურის . . . . | 200 | 20 | 51. მახარაძის . . . . . . | 25 | 450 |
| 43. ცაგერის . . . . . | 50 | — | 52. ლანჩხუთის . . . . . | 25 | 1200 |
| 44. აბაშის . . . . . | 225 | 1500 | 53. ჩოხატაურის . . . | 40 | 150 |
| 45. ცხაკაიას . . . . . | 75 | 500 | 54. ფოთის . . . . . . . | 10 | 30 |
| 46. გეგეჭკორის . . . . | 100 | 300 | 55. აფხაზეთის ასსრ . . . | 800 | 600 |
| 47. ზუგდიდის . . . . | 50 | 250 | 56. აჭარის ასსრ . . . . | 450 | 200 |
| | | | სულ რესპუბლიკაში . | 20.000 | 35.000 |

2. ბალახების მოსავლიანობის გასადიდებლად დაევალოს რაიონულ საბჭოების აღმასკომებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს უზრუნველჰყონ შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

ა) სთესონ მრავალწლიანი საკვები ბალახები მარცვლეული თავთავიანი კულტურების საფარქვეშ მხოლოდ ანეულზე და სათოხნი კულტურებიდან გამოსულ ნაკვეთებზე;

ბ) მრავალწლიანი ბალახების სუფთა ნათესები ნაწვერალზე დაუშვან მხოლოდ ნიადაგის გულმოდგინედ მომზადების, ნაწვერალის აოშვის, მზრალად ხვნისა და ნიადაგის თესვის წინა გულმოდგინე დამუშავების შემდეგ;

გ) საკვები ბალახები სთესონ გაზაფხულზე საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვისათვის დაწესებულ ვადებში; საკვები ბალახების საშემოდგომო თესვა კი აწარმოონ საშემოდგომო მარცვლეულ კულტურების თესვის დასაწყისში;

დ) არ დაუშვან საკვები ბალახების ნათესების დასარეველიანება, რისთვისაც ჩაატარონ სარეველებისაგან გამარგვლა; სათესლეებზე უზრუნველჰყონ სულ მცირე 2—3 გამარგვლის ჩატარება, ხოლო ფართომწკრივიან ნათესებზე ჩაატარონ 2—3 კულტივაცია;

ე) ნათესი ბალახების თიბვა, როგორც წესი, აწარმოონ: მრავალწლიანი ბალახებისა—ბუტონიზაციის სტადიაში, ხოლო ერთწლიანი ბალახებისა—ყვავილობის დასაწყისში;

ვ) არ დაუშვან თესლის აღების იმ ვადების დარღვევა, რაც დადგენილია აგროწესებით.

3. იმ მიზნით, რომ არ იქნას დაშვებული საკვები კულტურების ფართობების შემცირება, დაევალოს რაიონულ საბჭოების აღმასკომებს მრავალწლიანი ბალახებისა თესლის ნაკლებობის ან მრავალწლიანი ბალახების ნათესების ნაწი-

ეროვნული

ლობრივ დაღუპვის შემთხვევაში შესცვალონ ისინი სხვა საკვები კულტურების ნათესებით (სასილოსე, ერთწლიანი ბალახებითა და ძირხვენა მცენარეებით).

4. წინადადება მიეცეს რაიონულ საბჭოების აღმასკომებს 1941 წ. 5 ივლისამდე შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში ბალახების გამოყოფილ სათესლეთა მდგომარეობა და იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული ნაკვეთები არ შეესაბამებიან აგროტექნიკის მოთხოვნებს, უზრუნველჰყონ მათი შეცვლა ახალი უკეთესი ნაკვეთებით. ბალახების სათესლეებზე უზრუნველჰყონ ყოველგვარი ღონისძიების თავის დროზე გატარება და მიაღწიონ მათი მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებას.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რაიონულ საბჭოების აღმასკომებს:

ა) ივნისის განმავლობაში ჩაატარონ ცერცველას მთელი ნათესების აღრიცხვა და მისცენ კოლმეურნეობებს დამატებითი დავალებანი—დასტოვონ ცერცველა სათესლედ საფურაჟე ნათესებიდან იმ ანგარიშით, რომ 1942 წელს უზრუნველყოფილ იქნას თესლით ამ კულტურის ნათესების შემდგომი გაფართოება კოლმეურნეობებში;

ბ) საშემოდგომო ცერცველას დაჩქარებით გამრავლების მიზნით, აკრძალონ 1941 წელს ამ ნათესების გამოყენება საფურაჟე მიზნებისათვის;

გ) დასტოვოს 1941 წელს ყველა რაიონში სათესლე მიზნებისათვის ხანდურის (მინდვრის ბარდის) ნათესების ნახევარი მაინც.

### 4. სათიბების და საძოვრების გაუმჯობესებისა და მათი მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ

1. დაწესდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1941 წლისათვის სათიბებისა და საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესების გეგმა (ბუჩქნარების გაკაფვა, კოლბოხების მოჭრა, ზედაპირული წყლების მოცილება, ქვებისაგან და ნაგვისაგან გაწმენდა, სარეველა და შხამიან ბალახებთან ბრძოლა, მორწყვა და სხვა) 50 ათასი ჰექტარის ფართობზე, რაც განაწილდეს ავტონომიურ რესპუბლიკების, ოლქისა, და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 4.

2. სათიბებისა და საძოვრების გაუპიროვნების ლიკვიდაციის მიზნით, დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს 1941 წ. 1 ივლისისათვის მიამაგრონ ყველა ბუნებრივი სათიბები და საძოვრები მემინდვრეობის ბრიგადებს ან რგოლებს და დააკისრონ მათ ყოველგვარი საჭირო სამუშაოების შესრულება სათიბებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლად და მოსავლელად.

3. დაწესდეს 1941 წლისათვის წინა წლებში გაშენებული ხელოვნური სათიბ-საძოვრების ფართობებიდან მდელო-სასაძოვრო ბალახების სათესლეების გამოყოფის გეგმა, რაც განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მდელო-საძოვრო ბალახების თესლის წარმოების მიზნით, დაევალოთ რაიონულ საბჭოების აღმასკომებს ყოველწლიურად ჩაატარონ სათესლეების გაშენება მოსამდელოებელ ფართობებზე ყოველ 10—20 ჰექტარ მომდელოებელ ფართობზე ერთი ჰექტარის რაოდენობით.

5. მდელო-საძოვრო ბალახების თესლის რესურსების გადიდების მიზნით, დაწესდეს 1941 წლისათვის გარეული საკვები ბალახების თესლის აღების გეგმა, რაც განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 6.

6. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვი ძოების პერიოდში მწვანე საკვებით, რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს სთესონ მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახები მწვანე საკვების მისაცემად და საძოვებლად.

რაიმიწგანებმა კონკრეტული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს დასათესად სათანადო ნაკვეთებისა და კულტურების შერჩევის საქმეში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 1941 წლის დამლევამდე შეიმუშაოს საფერმო და მდელო-საძოვრო თესლბრუნვის სქემა კოლმეურნეობებში იმ ანგარიშით, რომ თესლბრუნვა შემოღებულ იქნას 1942 წლიდან პირველ რიგში წითელწყაროს, საგარეჯოს, სიღნაღის, თბილისის, თეთრიწყაროსა და თელავის რაიონებში.

8. სათიბებისა და საძოვრების გამოყენების მოწესრიგებისა და მათი პროდუქტიულობის გადიდების მიზნით, დაევალოს სამიწათმოქმედო განყოფილებებს და კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს აკრძალონ პირუტყვის საგაზაფხულო ძოვება სათიბად გამოყოფილ ფართობებზე; მოაწყონ კოლმეურნეობებში, 1941 წლიდან დაწყებული, პირუტყვის ნაკვეთობრივი მორიგ ძოვება ყველა ბუნებრივ და ნათეს საძოვრებზე.

9. წინადადება მიეცეს ყველა რაიონულ საბჭოების აღმასკომს, მტს-ებსა და კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) მოაწყონ განმეორებითი თიბვა როგორც ბუნებრივ, ისე ნათეს სათიბებზე და მოსავლის დანიშნულ ვადაში და უდანაკარგოდ აღებით, უზრუნველჰყონ თივის მოსავლიანობის დაწესებულ დავალებათა გადაჭარბებით შესრულება;

ბ) დაუყოვნებლივ გამოისყიდონ სოფლმეურნმომარაგების საქართველოს კანტორის საწყობებიდან თივის ასაღები მანქანები და სათადარიგო ნაწილები, დაამთავრონ ყველა კოლმეურნეობასა და მტს-ებში თივის ასაღები მანქანების რემონტი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რემონტის ხარისხს. ამასთან ერთად უზრუნველჰყონ თივის ასაღები იმ წვრილი ინვენტარის (ცელები, სალესი ქვები, გრდემლები, ჩაქუჩები და სხვ.) გამოსყიდვა, რაც მათ აკლიათ;

გ) შეიმუშაონ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში არსებული თივის ასაღები მანქანების გამოყენების კალენდარული გეგმა, მიამაგრონ ეს მანქანები ბრიგადებს და უზრუნველჰყონ მათი შეუფერხებელი მუშაობა სრული დატვირთვით;

№ 22
ეროვნული

დ) თივის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ჩაატარონ თიბვა ბალახნარის ძირითადი მასის ყვავილობის დასაწყისში მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, სავსებით დაამთავრონ თივის აღება (თივის დაზვინვის ჩათვლით) მარცვლეული პურეულის აღების დაწყების დროისათვის, ხოლო ნათესი ბალახების აღება დაამთავრონ თიბვის დაწყებიდან 5—10 დღის განმავლობაში;

ე) დაწესდეს, რომ სათიბი ნაკვეთები აღებულად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც თივას ბრიგადებისაგან მიიღებენ კოლმეურნეობათა გამგეობები. მოთიბული თივა გაშრობის შემდეგ დაუყოვნებლივ დაზვინონ, მიიტანონ იგი პირუტყვის საზამთრო სადგომებთან და გაატარონ სახანძრო დაცვის საჭირო ღონისძიებანი. სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიონ დაზვინული თივის მდგომარეობას და არ დაუშვან მისი გაფუჭება და დატაცება;

ვ) გაშალონ მუშაობა თივის სადაზღვევო ფონდის ასაღებად და დასამზადებლად საზამთრო საძოვრებზე, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის გარეთაც; ამ მიზნით გამოჰყონ პასუხისმგებელი მუშაკები და გაჰგზავნონ დამატებითი მუშა-ხელი საჭირო ინვენტარითა და ტრანსპორტითურთ ამ საძოვრებზე, და უზრუნველჰყონ თივის სადაზღვევო ფონდის დამზადების გეგმის შესრულება დაწესებულ ვადაში.

**10.** იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვი უხეში საკვებით მოუსავლიანობის შემთხვევისათვის, შეიქმნას თვითეულ კოლმეურნეობაში 1941—1942 წლების განმავლობაში უხეში საკვების (თივა, ნამჯა, ბზე, ჩალა) სადაზღვევო მარაგი, რაც ყოველწლიურად უნდა განახლდეს, წლიური მოთხოვნილების 20—30% რაოდენობით, აქედან 1941 წელს—10—15%.

დაევალოს რაიონულ საბჭოების აღმასკომებს 5 დღის ვადაში დაიყვანონ თვითეულ კოლმეურნეობამდე უხეში საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნის დავალებანი, ამასთან დაუშვან ცალკეული კოლმეურნეობებისათვის სადაზღვევო მარაგის გადიდება ან შემცირება აღნიშნული ოდენობის 15—20% ფარგლებში იმ ანგარიშით, რომ მთლიანად რაიონში ეს მარაგი არ იყოს ამ დადგენილებით დაწესებულ ოდენობაზე ნაკლები.

სასტიკი კონტროლი გაუწიონ უხეში საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნას, შენახვასა და სწორად გამოყენებას თითოეულ კოლმეურნეობაში.

**11.** ორჯონიკიძის მხარისა და ყალმუხეთის ასსრ რესპუბლიკის საზამთრო საძოვრებზე არსებული არტეზიული ჭების შეუფერხებელი მუშაობის მიზნით, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს ამ ჭსელის ექსპლოატაციის ღონისძიებანი და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

**12.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი თელავის რაიონის მთა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუშეთისა და დუშეთის რაიონის ხევსურეთის საზაფხულო საძოვრების მთლიანი ათვისებისათვის და არაუგვიანეს 1941 წ. 1 ნოემბრისა თავისი წინადადებანი განსახილველად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

13. წინადადება მიეცეს თელავისა და დუშეთის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს დაუყოვნებლივ მოაწყონ აღმასკომების საგზაო განყოფილებათა მეშვეობით მუშაობა იმისათვის, რომ 1941 წელს დამთავრდეს დაწყებული მთის ბილიკების მშენებლობა მთათუშეთის საძოვრებისა (7 კილომეტრზე) და ხევსურეთის საძოვრებისა (13 კილომეტრზე).

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გადასცეს თელავისა და დუშეთის რაიონულ საბჭოების აღმასკომებს აღნიშნული ბილიკების მშენებლობის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, ამასთან გადაურიცხოს მათ ამ მშენებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გაღებული სახსრები: თელავის რაიონს—175 ათასი მანეთი და დუშეთის რაიონს—483,5 ათასი მანეთი.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს თვალყური ადევნოს აღნიშნული გზების მშენებლობის მიმდინარეობას.

## 5. საკვების შენახვის, გამოყენების და ჭმევისათვის მომზადების შესახებ

წინადადება მიეცეთ რაიონულ საბჭოების აღმასკომებს:

ა) სისტემატიურად შეამოწმონ, თუ როგორ ხორციელდება კოლმეურნეობებში საკვების შენახვის, გამოყენებისა და ჭმევისათვის მომზადების ღონისძიებანი, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 29 მაისის დადგენილებით „კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“;

ბ) დაუყოვნებლივ შეამოწმონ თითოეულ კოლმეურნეობაში საკვების გადასამუშავებელი მანქანების (ძირხვენების საჭრელი, საკვების დასაორთქლებელი, კომპტონსაღერღი, მარცვალსაღერღი და სხვ. მანქანების) არსებული რაოდენობა და მდგომარეობა, ჩაატარონ მათი რემონტი, აგრეთვე უზრუნველჰყონ, რომ კოლმეურნეობებმა საქსოფლმეურნმომარაგების საწყობებიდან გამოისყიდონ საკვების მოსამზადებელი არსებული მანქანები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 14 ივნისი № 1095.
თბილისი.

დანართი № 1.

### საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სილოსის ჩადების გეგმა 1941 და 1942 წლებისათვის

(ტონობით)

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | 1941 წ. | 1942 წ. | რ ა ი ო ნ ე ბ ი | 1941 წ. | 1942 წ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ახალქალაქის . . . . | 6400 | 6600 | 31. წყალტუბოს . . . . . | 950 | 1000 |
| 2. ბოგდანოვკის . . . . | 4950 | 5200 | 32. სამტრედიის . . . . . | 2050 | 2150 |
| 3. ახალციხის . . . . . | 1500 | 2000 | 33. წულუკიძის . . . . . | 1200 | 1550 |
| 4. ადიგენის . . . . . . | 1500 | 1600 | 34. ვანის . . . . . . . | 1250 | 1300 |
| 5. ასპინძის . . . . . . | 1200 | 1400 | 35. მაიაკოვსკის . . . . . | 600 | 750 |
| 6. ხაშურის . . . . . . | 1000 | 1500 | 36. ზესტაფონის . . . . | 1300 | 1350 |
| 7. ქარელის . . . . . . | 1500 | 2000 | 37. ჩხარის . . . . . . . | 950 | 1000 |
| 8. გორის . . . . . . . | 2500 | 3500 | 38. ჭიათურის . . . . . | 550 | 950 |
| 9. კასპის . . . . . . . | 1250 | 2000 | 39. საჩხერის . . . . . | 1000 | 1400 |
| 10. ბორჯომის . . . . . | 4500 | 5700 | 40. ორჯონიკიძის . . . . | 0000 | 1850 |
| 11. გურჯაანის . . . . . | 2850 | 2950 | 41. ტყიბულის . . . . . | 1300 | 1300 |
| 12. სიღნაღის . . . . . . | 3450 | 3500 | 42. ო ნ ი ს . . . . . . . | 2000 | 2100 |
| 13. წითელწყაროს . . . . | 4550 | 4650 | 43. ამბროლაურის . . . | 1600 | 1650 |
| 14. თელავის . . . . . . | 4500 | 4550 | 44. ცაგერის . . . . | 900 | 1300 |
| 15. ყვარელის . . . . . . | 1600 | 2300 | 45. ქვემო სვანეთის . . . | 100 | 200 |
| 16. ლაგოდეხის . . . . . | 2400 | 2450 | 46. აბაშის . . . . . . . | 1100 | 1800 |
| 17. თბილისის . . . . . | 2750 | 4000 | 47. ცხაკაიას . . . . . . | 1950 | 2000 |
| 18. მცხეთის . . . . . . | 1500 | 2250 | 48. გეგეჭკორის . . . . | 1400 | 1500 |
| 19. ყარაიის . . . . . . | 1200 | 1250 | 49. ზუგდიდის . . . . . | 1400 | 1450 |
| 20. ბორჩალოს . . . . . | 3350 | 3400 | 50. ხობის . . . . . . . | 900 | 1400 |
| 21. ლუქსემბურგის . . . | 1400 | 1500 | 51. წალენჯიხის . . . . . | 1400 | 1600 |
| 22. წალკის . . . . . . . | 4550 | 4600 | 52. ჩხოროწყუს . . . . . | 1500 | 1540 |
| 23. დუშეთის . . . . . . | 3000 | 4500 | 53. მახარაძის . . . . . | 2250 | 2300 |
| 24. თეთრიწყაროს . . . . | 4000 | 6000 | 54. ლანჩხუთის . . . . . | 2900 | 3050 |
| 25. საგარეჯოს . . . . . | 2250 | 2500 | 55. ჩოხატაურის . . . . | 1250 | 1300 |
| 26. ბაშკიჩეთის . . . . . | 4250 | 4300 | 56. ზემო სვანეთის . . . | — | 10 |
| 27. თიანეთის . . . . . . | 2000 | 3500 | 57. ფოთის . . . . . . . | 150 | 300 |
| 28. ყაზბეგის . . . . . . | 200 | 150 | 58. აფხაზეთის ასსრ . . . | 8400 | 8600 |
| 29. სამხრეთ-ოსეთის ა. ო. | 6750 | 7600 | 59. აჭარის ასსრ . . . . | 4400 | 4500 |
| 30. ქუთაისის . . . . . . | 1300 | 1350 | | | |



დანართი № 2

### საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ახალ სასილოსე ნაგებობათა რემონტისა და მშენებლობის გეგმა 1941 წლისათვის

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | ახალი მშენებლობა | რემონტი | რ ა ი ო ნ ე ბ ი | ახალი მშენებლობა | რემონტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ასსრ . . . | 4890 | 3510 | 30. სამხრეთ-ოსეთის ა. ო. . | 2950 | 3800 |
| 2. აჭარის ასსრ . . . . | 2560 | 1840 | 31. ახალქალაქის . . . . | 900 | 5500 |
| 3. აბაშის რაიონი . . . | 260 | 840 | 32. ბოგდანოვკის . . . . | 650 | 4300 |
| 4. ცხაკაიას . . . . . . | 350 | 1600 | 33. ახალციხის . . . . . | 250 | 1260 |
| 5. გეგეჭკორის . . . . . | 600 | 800 | 34. ადიგენის . . . . . . | 440 | 1060 |
| 6. ზუგდიდის . . . . . | 350 | 1060 | 35. ასპინძის . . . . . . | 270 | 930 |
| 7. ხობის . . . . . . . | 570 | 330 | 36. ხაშურის . . . . . . | 550 | 450 |
| 8. წალენჯიხის . . . . . | 800 | 600 | 37. ქარელის . . . . . . | 1050 | 450 |
| 9. ჩხოროწყუს . . . . . | 200 | 1300 | 38. გორის . . . . . . . | 1970 | 530 |
| 10. მახარაძის . . . . . | 1510 | 740 | 39. კასპის . . . . . . . | 570 | 680 |
| 11. ლანჩხუთის . . . . . | 910 | 1990 | 40. ბორჯომის . . . . . | 780 | 3720 |
| 12. ჩოხატაურის . . . . | 1100 | 150 | 41. წალკის . . . . . . . | 570 | 3980 |
| 13. ფოთის . . . . . . . | 135 | 15 | 42. დუშეთის . . . . . . | 1090 | 1910 |
| 14. ქუთაისის . . . . . . | 500 | 800 | 43. თეთრიწყაროს . . . . | 1600 | 2400 |
| 15. წყალტუბოს . . . . . | 400 | 550 | 44. თიანეთის . . . . . . | 1300 | 700 |
| 16. სამტრედიის . . . . . | 740 | 1310 | 45. ყაზბეგის . . . . . . | 160 | 40 |
| 17. წულუკიძის . . . . . | 550 | 650 | 46. გურჯაანის . . . . . | 1000 | 1850 |
| 18. ვანის . . . . . . . | 350 | 900 | 47. სიღნაღის . . . . . . | 1170 | 2280 |
| 19. მაიაკოვსკის . . . . . | 30 | 570 | 48. წითელწყაროს . . . . | 920 | 3630 |
| 20. ზესტაფონის . . . . . | 500 | 800 | 49. თელავის . . . . . . | 1890 | 2610 |
| 21. ჩხარის . . . . . . . | 10 | 940 | 50. ყვარელის . . . . . . | 950 | 650 |
| 22. ჭიათურის . . . . . . | 230 | 320 | 51. ლაგოდეხის . . . . . | 690 | 1710 |
| 23. საჩხერის . . . . . . | 780 | 220 | 52. თბილისის . . . . . | 1620 | 1130 |
| 24. ორჯონიკიძის . . . . | 450 | 650 | 53. მცხეთის . . . . . . | 180 | 1320 |
| 25. ტყიბულის . . . . . . | — | 1300 | 54. ყარაიას . . . . . . . | — | 1200 |
| 26. ო ნ ი ს . . . . . . . | 780 | 1220 | 55. ბორჩალოს . . . . . | 200 | 3150 |
| 27. ამბროლაურის . . . . | 800 | 800 | 56. ლუქსემბურგის . . . | 460 | 940 |
| 28. ცაგერის . . . . . . | 300 | 600 | 57. საგარეჯოს . . . . . | — | 2250 |
| 29. ქვემო-სვანეთის . . . | 75 | 25 | 58. ბაშკიჩეთის . . . . . | 150 | 4100 |

დანართი № 3.

## საქართველოს სსრ მტს-ებში საკვების დასილოსების სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 1941 წლისათვის

(ტონობით)

| მტს-ები | | მტს-ები | |
|---|---|---|---|
| 1. სოხუმის | 800 | 23. ადიგენის | 800 |
| 2. გალის | 1600 | 24. თიანეთის | 2000 |
| 3. ოჩემჩირის | 800 | 25. წალკის | 2400 |
| 4. გუდაუთის | 600 | 26. ასურეთის | 200 |
| 5. მახარაძის | 800 | 27. ულიანოვკის | 1000 |
| 6. ლანჩხუთის | 2400 | 28. წნორის | 800 |
| 7. აბაშის | 800 | 29. წითელის | 800 |
| 8. ცხაკაიას | 1900 | 30. შირაქის | 2400 |
| 9. გეგეჭკორის | 800 | 31. თელავის | 1800 |
| 10. ზუგდიდის | 1400 | 32. ახმეტის | 1800 |
| 11. ხობის | 800 | 33. ყვარელის | 800 |
| 12. ქუთაისის | 1300 | 34. ლაგოდეხის | 2400 |
| 13. სამტრედიის | 1600 | 35. თბილისის | 1000 |
| 14. წულუკიძის | 1800 | 36. თელეთის | 900 |
| 15. ვანის | 800 | 37. ყარაიის | 1000 |
| 16. დუშეთის | 800 | 38. ბორჩალოს | 2000 |
| 17. სტალინირის | 800 | 39. სადახლოს | 200 |
| 18. ქსნისის | 1600 | 40. ლუქსემბურგის | 500 |
| 19. ახალქალაქის | 2600 | 41. საგარეჯოს | 1600 |
| 20. ოკამის | 1800 | 42. სართიჭალის | 800 |
| 21. ბოგდანოვკის | 4000 | 43. ბაშკიჩეთის | 2400 |
| 22. ახალციხის | 800 | | |



დანართი № 4.

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მდელოებისა და საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესების გეგმა 1941 წლისათვის

| რაიონები | გაუმჯობე-სების გეგმა ჰექტ. | რაიონები | გაუმჯობე-სების გეგმა ჰექტ. |
|---|---|---|---|
| 1. ახალქალაქის | 4500 | 25. ბაშკიჩეთის | 2500 |
| 2. ბოგდანოვკის | 5000 | 26. თიანეთის | 1000 |
| 3. ახალციხის | 1600 | 27. ყაზბეგის | 300 |
| 4. ადიგენის | 1500 | 28. სამხრეთ-ოსეთის ა/ო. | 2000 |
| 5. ასპინძის | 1000 | 29. ვანის | 450 |
| 6. ხაშურის | 400 | 30. მაიაკოვსკის | 1000 |
| 7. ქარელის | 400 | 31. ორჯონიკიძის | 50 |
| 8. გორის | 500 | 32. ტყიბულის | 200 |
| 9. ბორჯომის | 3000 | 33. ო ნ ი ს | 850 |
| 10. გურჯაანის | 1000 | 34. ამბროლაურის | 650 |
| 11. სიღნაღის | 1250 | 35. ცაგერის | 200 |
| 12. წითელწყაროს | 2750 | 36. ქვემო-სვანეთის | 50 |
| 13. თელავის | 1300 | 37. ცხაკაიას | 100 |
| 14. ყვარლის | 100 | 38. გეგეჭკორის | 300 |
| 15. ლაგოდეხის | 100 | 39. ზუგდიდის | 50 |
| 16. თბილისის | 800 | 40. ხობის | 200 |
| 17. მცხეთის | 300 | 41. წალენჯიხის | 500 |
| 18. ყარაიას | 1200 | 42. ჩხოროწყუს | 250 |
| 19. ბორჩალოს | 2000 | 43. მახარაძის | 350 |
| 20. ლუქსემბურგის | 200 | 44. ჩოხატაურის | 1000 |
| 21. წალკის | 1750 | 45. ფოთის | 50 |
| 22. დუშეთის | 2000 | 46. აჭარის ასსრ | 2000 |
| 23. თეთრიწყაროს | 1000 | 47. აფხაზეთის ასსრ | 1500 |
| 24. საგარეჯოს | 800 | | |

დანართი № 5.

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სამდელოო-სასაძოვრო ბალახების სათესლეების გამოყოფის გეგმა

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | სამდელოო-სასაძოვრო ბალახების სათესლეთა ფართობი |
|---|---|
| 1. ახალქალაქის | 20 |
| 2. ბოგდანოვკის | 10 |
| 3. ბორჯომის | 13 |
| 4. გურჯაანის | 4 |
| 5. სიღნაღის | 7 |
| 6. წითელწყაროს | 12 |
| 7. თბილისის | 10 |
| 8. მცხეთის | 7 |
| 9. ლიუქსემბურგის | 4 |
| 10. თეთრიწყაროს | 6 |
| 11. საგარეჯოს | 3 |
| 12. ბაშკიჩეთის | 5 |
| 13. აფხაზეთის ასსრ | 15 |
| 14. აჭარის ასსრ | 4 |
| სულ რესპუბლიკაში | 120 |



დანართი № 6.

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში გარეული საკვები ბალახების ალების გეგმა 1941 წლისათვის (ცენტნერებით)

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | ს უ ლ | ა ქ ე დ ა ნ | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სამყურა | მდელოს წივანა | სათი-თურა | ტიმო-თელა | უფხო შვრიელი | ძიძო | ფრანგუ-ლი კოინ-დარი | თივა ქასრა |
| 1. ახალქალაქის | 4,0 | 0,5 | 2,0 | — | 1,0 | 0,5 | — | — | — |
| 2. ბოგდანოვის | 5,0 | 1,0 | 2,0 | — | 1,0 | — | — | 0,5 | 0,5 |
| 3. ახალციხის | 2,0 | — | — | 0,0 | — | 0,5 | 1,0 | — | — |
| 4. ასპინძის | 2,0 | 0,5 | 1,0 | — | — | — | 0,5 | — | — |
| 5. ადიგენის | 1,5 | 0,5 | — | 0,5 | — | — | 0,5 | — | — |
| 6. ბორჯომის | 3,0 | — | 1,0 | — | 1,5 | — | — | 0,5 | — |
| 7. წალკის | 3,0 | 1,0 | — | 0,5 | — | 1,0 | — | — | 0,5 |
| 8. დუშეთის | 1,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 | — | — | — | — | — |
| 9. თეთრიწყაროს | 3,0 | 1,0 | — | — | 0,5 | 1,0 | — | — | 0,5 |
| 10. ბაშკიჩეთის | 3,0 | 1,0 | 1,0 | 0,5 | — | 0,5 | — | — | — |
| 11. თიანეთის | 1,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 | — | — | — | — | — |
| 12. სამხრ. ოსეთ. ა. ო. | 2,5 | 0 5 | 1,0 | — | 0,5 | 0,5 | — | — | — |
| 13. ამბროლაურის | 1,5 | — | 0,5 | — | 0,5 | — | 0,5 | — | — |
| 14. აფხაზეთის ასსრ | 3,5 | 1,0 | — | 1,0 | 1,0 | — | — | 0,5 | — |
| 15. აჭარის ასსრ | 3,0 | 2,0 | — | 0,5 | 1,0 | — | 0,5 | — | — |
| ს უ ლ | 40,0 | 9,0 | 9,5 | 4,5 | 7,0 | 4,0 | 3,0 | 1,5 | 1,5 |

755

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28

შეკვეთა № 1675

ტირაჟი 1600